



## განსაცდელში მიტოვება და დაუხმარებლობა

დანაშაულთან ბრძოლაში, ასევე, საზოგადოებაში ურთიერთდახმარების ზოგადი მოქალაქეობრივი ვალდებულების განსამტკიცებლად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულად აცხადებს ისეთ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს, როგორცაა: განსაცდელში მიტოვება და დაუხმარებლობა.<sup>1</sup>

განსაცდელში მიტოვება საფრთხის შემქმნელი დელიქტია და ითვალისწინებს სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის დაუხმარებლობას იმის მიერ, ვისაც ევალებოდა მასზე ზრუნვა და შეეძლო მისი დახმარება.<sup>2</sup>

განსაცდელში მიტოვება რეგულირდება სისხლის სამართლის კოდექსის 128-ე მუხლით და ისჯება ჯარიმით, ან ერთ წლამდე ვადით გამასწორებელი სამუშაოთი, ან ას ოციდან ორას ორმოც საათამდე ვადით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით, ან შინაპატიმრობით, ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ვადით.

---

<sup>1</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მუხლი 128-129

<sup>2</sup> გოჩა მამულაშვილი კომენტარებში; ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, კერძო ნაწილი 1; გვ. 192

აუცილებელია ორი პირობის გათვალისწინება:

- ☞ პირი უნდა იმყოფებოდეს სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში და არ უნდა შეეძლოს თავის დაცვა;
- ☞ განსაცდელში მიმტოვებელს ევალება დაზარალებულზე ზრუნვა და აქვს კიდევ ამის შესაძლებლობა.<sup>3</sup>

განსაცდელში მიტოვებისას, დამნაშავეს დაკისრებული აქვს მოქმედების სამართლებრივი ფუნქცია, კერძოდ, იზრუნოს განსაცდელში მყოფ ადამიანზე და თავიდან აიცილოს რამე ცუდი შედეგი. დაზარალებულზე ზრუნვის ვალდებულება სხვადასხვა საფუძვლით შეიძლება არსებობდეს:

- ☞ კანონიდან გამომდინარე ურთიერთობები - მაგალითისთვის, როცა მშობლებს ევალებათ შვილებზე ზრუნვა;
- ☞ სახელშეკრულებო ურთიერთობები - მაგალითისთვის, როცა ძიძა არ უვლის ბავშვს ან მოხუცის დაქირავებული მომვლელი თავს არიდებს თავისი ვალდებულების შესრულებას;
- ☞ სამსახურებრივი ვალდებულება - მაგალითისთვის, როცა მეხანძრე, საბავშვო ბაღის აღმზრდელი ან მაშველი არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას;
- ☞ წინარე ქმედება - მაგალითისთვის, მძლოლი ეჯახება ქვეითად მოსიარულეს. ამ დროს მას წარმოეშვება დაზარალებულის მიმართ ზრუნვის ვალდებულება.<sup>4</sup>

---

<sup>3</sup> გოჩა მამულაშვილი კომენტარებში; ლექციები/თოდუა/მამულაშვილი, კერძო ნაწილი 1; გვ. 192-193

<sup>4</sup> გოჩა მამულაშვილი კომენტარებში; ლექციები/თოდუა/მამულაშვილი, კერძო ნაწილი 1; გვ. 193

შესაბამისად, თუ სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფ პირს განსაცდელში მიატოვებს ის, ვისაც ევალებოდა მასზე ზრუნვა და ჰქონდა რეალური შესაძლებლობა გადაერჩინა მისი სიცოცხლე, პასუხს აგებს განსაცდელში მიტოვებისთვის.<sup>5</sup>

დაუხმარებლობა, სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის ერთ-ერთი სახეა. თავისი არსით, იგი პრევენციული ხასიათის მატარებელია. აღნიშნულ დანაშაულში ურთიერთდახმარების ზოგადი მოქალაქეობრივი მოვალეობა სამართლებრივ ვალდებულებად გვევლინება.<sup>6</sup>

დაუხმარებლობა რეგულირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 129-ე მუხლით და ისჯება ჯარიმით, ან ორ წლამდე ვადით გამასწორებელი სამუშაოთი, ან ექვსი თვიდან ორ წლამდე ვადით შინაპატიმრობით, ანდა ორ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით.

განსაცდელში მიტოვებისგან განსხვავებით, დაუხმარებლობის დროს სპეციალური სამართლებრივი დახმარების ვალდებულება არ არსებობს, არამედ სახეზეა ზოგადი ზნეობრივი ვალდებულება.<sup>7</sup>

დაუხმარებლობა სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფისთვის აუცილებელი და აშკარად გადაუდებელი დახმარების გაუწევლობაში გამოიხატება. მსგავსი სიტუაცია შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა მიზეზით - ეს შეიძლება იყოს სტიქიური უბედურება (ხანძარი, მიწისძვრა, მეწყერი, წყალდიდობა), ავადმყოფობა ან ფიზიოლოგიური მდგომარეობა (მაგ: ორსულობა), კატასტროფა თუ უბედური შემთხვევა.<sup>8</sup>

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კანონი არ ავალდებულებს ვინმეს, სხვა პირის გადასარჩენად საკუთარი თავი ან სხვა პირი ჩააგდოს რისკის ქვეშ,<sup>9</sup> მაგალითად, როდესაც პირმა არ იცის ცურვა, მას არ მოეთხოვება მდინარეში სხვათა სიცოცხლის გადასარჩენად შესვლა.<sup>10</sup>

დამნაშავეს უნდა შეეძლოს მსხვერპლის დახმარება თავისთვის ან სხვისთვის სერიოზული საფრთხის შექმნის გარეშე, ხოლო რისკის არსებობის შემთხვევაში, უნდა მიმართოს სათანადო დაწესებულებას ან სხვა პირს.

---

<sup>5</sup> დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, გვ. 138-139/სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი გვ. 206-207

<sup>6</sup> გოჩა მამულაშვილი კომენტარებში; ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, კერძო ნაწილი 1; გვ. 195

<sup>7</sup> გოჩა მამულაშვილი კომენტარებში; ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, კერძო ნაწილი 1; გვ. 197

<sup>8</sup> გოჩა მამულაშვილი კომენტარებში; ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, კერძო ნაწილი 1; გვ. 195

<sup>9</sup> ჯიმკარიანი სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, აბზ. 441, გვ. 132

<sup>10</sup> ჯიმკარიანი სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, აბზ. 441, გვ. 132

სათანადო დაწესებულებაში, პირველ რიგში, პოლიცია, სამაშველო და სასწრაფო სამედიცინო სამსახურები იგულისხმება,<sup>11</sup> ხოლო სხვა პირებში ნაგულისხმებია ის, ვისაც სპეციალური ცოდნიდან და თანამდებობიდან გამომდინარე შეუძლია ან ევალება დახმარება.<sup>12</sup>

დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ პიროვნება იმყოფება სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში, ამასთან, შეუძლია დახმარება, თუმცა გულგრილად ეკიდება თავის ზნეობრივ მოვალეობას.

რამე შედეგის დადგომა ამ დანაშაულისთვის მნიშვნელობას არ წარმოადგენს. თავად ფაქტი - დახმარების აღმოუჩინებლობა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.<sup>13</sup>

გახსოვდეთ !!!

- ☞ ორივე ზემოაღნიშნული ქმედება მიეკუთვნება იმ დანაშაულთა ნაწილს, რომელთა ჩადენაც უმოქმედობით შეიძლება.
- ☞ ზოგჯერ უმოქმედობა ნიშნავს დანაშაულს!
- ☞ ნუ დაივიწყებ მოქალაქეობრივ ვალდებულებას - მიმართე შესაბამის უწყებებს!

<sup>11</sup> ჯიშკარიანი სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, აბზ. 442, გვ.133

<sup>12</sup> გოჩა მამულაშვილი კომენტარებში; ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, კერძო ნაწილი 1; გვ. 196

<sup>13</sup> გოჩა მამულაშვილი კომენტარებში; ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, კერძო ნაწილი 1; გვ. 196